თამარ ჟვანია 14 წლის

აბაშის მე-2 საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე

დამოუკიდებლობის პირველი ნაპერწკალი -26 მაისი

გამარჯობა, ჩემო ევროპელო მეგობარო!

მე საქართველოდან ვარ, არ ვიცი თუ გსმენია ამ ქვეყნის შესახებ, თუმცა მინდა გითხრა რომ ის ძალიან განსაკუთრებული და გამორჩეული ქვეყანაა თავისი წარსულით, ისტორიით. 26 მაისი ახლოვდება, ეს დღე, ჩვენთვის, ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ახლა ალბათ ფიქრობ -რატომ არის ეს თარიღი მნიშვნელოვან?- მე გიამბობ, და შევეცდები ის ქარტეხილები დაგანახო რაც ჩემმა ქვეყანამ გაიარა და რისთვისაც ამ დღეს ზარ-ზეიმით აღვნიშნავთ. ალბათ, შენთვისაც ნაცნობია თავისუფლების ის ტკბილი და ამაღელვებელი გრძნობა, როდესაც შეგიძლია აკეთო რაც გულით გინდა, გამოხატო შენი აზრები და იცხოვრო ისე, როგორც შენ თვლი საჭიროდ. ეს გრძნობა თანდაყოლილია ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა თუ საცხოვრებელი ადგილისა. ჩემთვის, 14 წლის ქართველი მოზარდისთვის, სიტყვა „თავისუფლება“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ვიხსენებ ჩემი ქვეყნის რთულ და გრძელ გზას დამოუკიდებლობისაკენ. მინდა გაგიზიარო ჩემი ფიქრები... 1918 წლის 26 მაისი ჩვენთვის სიმბოლოა თავისუფლებისა. ეს არის დღე, როდესაც ჩვენმა წინაპრებმა, საუკუნის შემდეგ, უამრავი აჯანყებისა თუ ბრძოლის შემდეგ კვლავ ომახიანად და ხმამაღლა განაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს ისტორია სავსეა თავისუფლებისთვის ბრძოლის მაგალითებით. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა არაერთი დამპყრობლის სამიზნე იყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა ყოველთვის შეინარჩუნა საკუთარი იდენტობა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, ქართულ საზოგადოებაში გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება და გაჩნდა დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ინტელექტუალები და პატრიოტები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი საქმიანობით საფუძველი მოუმზადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ქართველი ადამიანი ბუნებით თავისუფალია, მამაცი და გაუტეხელია. სწორედ ამ თვისებებმა მოგვიყვანა დღემდე, როგორ სახელმწიფო .XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის დასუსტების ფონზე, საქართველოში აქტიურ ფაზაში გადავიდა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. 1918 წლისთვის, პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის შედეგად შექმნილმა ხელსაყრელმა ვითარებამ საშუალება მისცა ქართველ ერს, განეხორციელებინა საუკუნოვანი ოცნება. 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საზეიმოდ გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ამ საზეიმო დღეს კი ნოე ჟორდანიამ უდიდესი ღირებულებებით

გაჯერებული სიტყვა წარმოსთქვა:,, ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან... ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლებამოსილნი, როგორიც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა- ქართველობა.“ ამ სიტყვებში კარგად ჩანს ის ღირებულებები, რასაც ტოლერანტობა- მიმღებლობა, პატივისცემა და ემპათია ჰქვია. ესეც ჩვენი, ქართველების, გენეტიკური თვისებებია. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მომენტი ჩვენი ისტორიისთვის, პირველი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ. სამწუხაროდ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა. გარეშე ძალების ჩარევისა და არასტაბილურობის გამო, 1921 წელს საქართველო იძულებით შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამან მძიმე კვალი დატოვა ჩვენს ქვეყანაზე, შეზღუდა ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა. თუმცა, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება დარჩა სიმბოლოდ ეროვნული ერთიანობისა და თავისუფლებისკენ სწრაფვისა. ეს იყო ნათელი მაგალითი იმისა, რომ ქართველ ერში არასოდეს ჩაკვდება თავისუფლებისაკენ სწრაფვა. დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვება 1991 წელს, უკვე სხვა ისტორიულ კონტექსტში მოხდა, მაგრამ 1918 წლის გამოცდილება იყო მნიშვნელოვანი გაკვეთილი და შეხსენება იმისა, თუ რაოდენ ძვირფასია თავისუფლება და რა ამაღლებული გრძნობაა მისი დაცვა. მიუხედავად საქართველო დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში უამრავ სირთულეს შეხვდა, მაგრამ მუხლი არ ჩაუხრია. ვფიქრობ, რომ 1918 წლის 26 მაისის სულისკვეთება ცოცხალია ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ ვცდილობთ, ავაშენოთ დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფო, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება საკუთარი აზრის გამოხატვისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება. რაც შეეხება ევროპულ ღირებულებებს, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ ჯერ კიდევ პირველ კონსტიტუციაში წარმოადგინა უდიდესი ჰუმანური მიდგომები, ქალისა და მამაკაცის სოციალური თანასწორობა... და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრებაში 5 ქალი დეპუტატი იყო, რაც ცხადყოფს ჩვენი ერის მაღალზნეობრიობას. დამოუკიდებლობის ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, ქვეყანაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო ადამიანის უფლებების დაცვისაკენ. დღეს, საქართველო ცდილობს, განამტკიცოს ევროპულ ღირებულებები, რადგან სწორედ ამ გზაზე ვხედავთ ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარებისა და კეთილდღეობის გარანტიას. 1918 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიაში თავისუფლების პირველ ნაპერწკალად დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ იმჟამად დამოუკიდებლობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, ამ დღემ საფუძველი ჩაუყარა მომავალ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. სამუდამოდ ჩაიბეჭდა ქართველი ხალხის გულებში თავისუფლების იდეა. დღეს, ჩვენი ამოცანაა, გავაგრძელოთ ჩვენი წინაპრების მიერ დაწყებული გზა, ავაშენოთ ჭეშმარიტად თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო, რომელიც დაფუძნებული იქნება ევროპულ ღირებულებებზე. დიადი წარსულის მქონე ქვეყანა არასოდეს დათმობს თავისუფლებას. ჩვენი ქვეყნის ისტორია, დასაბამიდან მოყოლებული, ბრძოლაა თავისუფლებისთვის.

პატივისცემით,

შენი ქართველი მეგობარი, თამარი.

The First Spark of Independence - May 26th

Hello, my European friend!

I am from Georgia.

I don't know if you have heard about this country, but I want to tell you that it is a very special and distinctive country with its own past and history. May 26th is approaching, a very important day for us Georgians. You are probably thinking now - why is this date significant? - I will tell you, and I will try to show you the storms my country has weathered and why we celebrate this day with such fanfare. Perhaps you too are familiar with that sweet and exhilarating feeling of freedom, when you can do what your heart desires, express your thoughts, and live as you see fit. This feeling is inherent to all people, regardless of age, nationality, or place of residence. For me, a 14-year-old Georgian teenager, the word "freedom" takes on special significance when I recall my country's difficult and long journey towards independence. I want to share my thoughts with you... May 26th, 1918, is a symbol of freedom for us. This is the day when our ancestors, after a century of numerous uprisings and battles, once again loudly and proudly declared the independence of Georgia. The history of Georgia is full of examples of the struggle for freedom. For centuries, our country was the target of many invaders, but the Georgian people always preserved their identity and their aspiration for independence. In the 19th century, while part of the Russian Empire, national consciousness strengthened in Georgian society, and the idea of restoring independence emerged. During this period, great Georgian intellectuals and patriots were active, and through their work and public activities, they laid the groundwork for the national liberation movement. The Georgian people are by nature free, brave, and unbreakable. It is precisely these qualities that have brought us to this day as a state. At the beginning of the 20th century, against the backdrop of the weakening of the Russian Empire, the struggle for independence in Georgia entered an active phase. By 1918, the favorable situation created by World War I and the Russian Revolution allowed the Georgian nation to realize its centuries-old dream. On May 26th, 1918, in Tbilisi, the National Council of Georgia solemnly declared the independence of the Democratic Republic of Georgia. On this solemn day, Noe Zhordania delivered a speech filled with the greatest values: "We desire to have friendly relations with the nations both outside and among us... We declare that national minorities will have the same rights as the national majority of our state - the Georgians." These words clearly show the values we call tolerance-acceptance, respect, and empathy. These are also genetic traits of us Georgians. This was a crucial moment in our history, the first step towards freedom. Unfortunately, the existence of

the First Republic of Georgia was short-lived. Due to foreign intervention and instability, Georgia was forcibly incorporated into the Soviet Union in 1921. This left a heavy mark on our country, limiting our freedom and the possibility of independent development. However, the declaration of independence on May 26th, 1918, remained a symbol of national unity and the aspiration for freedom. It was a clear example that the desire for freedom would never die in the Georgian nation. The re-establishment of independence in 1991 took place in a different historical context, but the experience of 1918 was an important lesson and a reminder of how precious freedom is and what a sublime feeling it is to defend it. Despite the numerous difficulties Georgia faced in the post-independence period, it never gave up. I believe that the spirit of May 26th, 1918, is alive in our society. We are striving to build a democratic and free state where every citizen will have the opportunity to express their opinion and realize their potential. As for European values, the First Republic of Georgia already presented the greatest humanistic approaches in its first constitution, social equality between women and men... and it is noteworthy that there were 5 female deputies in the Constituent Assembly of the First Democratic Republic of Georgia, which demonstrates the high moral character of our nation. Despite the short existence of independence, significant reforms were carried out in the country, aimed at protecting human rights. Today, Georgia is trying to strengthen European values, because it is on this path that we see the guarantee of our country's stable development and well-being. May 26th, 1918, will remain the first spark of freedom in the history of Georgia. Although it was not possible to maintain independence at that time, this day laid the foundation for the future struggle for independence. The idea of freedom was forever imprinted in the hearts of the Georgian people. Today, our task is to continue the path begun by our ancestors, to build a truly free and democratic Georgia based on European values. A country with a great past will never give up freedom. The history of our country, from its very beginning, is a struggle for freedom.

With respect,

Your Georgian friend, Tamar.